პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი, 6 თებერვალი, 1942 წ. № 31 (6347). ფასი 15 კაპ.

ზრუნვა ბავშვებისათვის

იმ ამოცანებს შორის, რომლებიც, ომიანობის ვითარებასთან დაკავშირებით ჩვენი სამშობლოს წინაშე დაისახა, ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ ამოცანას წარმოადგენს ზრუნვა ბავშვებისათვის.

დანგრეული ქალაქები და სოფლები შეიძლება ხელახლა ავაშენოთ. შეიძლება მწყობრიდან გამოყვანილი ფაბრიკებისა და ქარხნების აღდგენა. მაგრამ ძნელია ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნო უმეთვალყურეობით დამახინჯებული ბავშვი, რომელსაც ბედნიერი ბავშვობა წაართვეს. ძნელია იმ მოზარდის სულიერი ჭრილობების მოშუშება, რომლის თვალწინაც ფაშისტმა მხეცებმა ჩამოახრჩეს მამა ან აწამეს დედა.

ჰიტლერელმა გარეწრებმა ააოხრეს ჩვენი ქვეყნის რაიონები, რომლებიც მათ დროებით იგდეს ხელთ. სისხლიანი კვალი აჩნევია ყველგან, სადაც კი ფაშისტ ყაჩაღს თავისი ჩექმით გაუვლია. ათასობით ბავშვები უსახლკაროდ დარჩნენ, მათ მშობლები დაჰკარგეს. ამ პატარების ტანჯვას არასოდეს არ დაივიწყებს და არ აპატიებს ჰიტლერელებს ჩვენი ხალხი. ბავშვის უმწეო ფიგურა ფაშისტთა მიერ ნაწამები დედის ან დახვრეტილი მამის გვამთან; მშიერი, მტირალი, სიცივისაგან აკანკალებული, მშობლიური სოფლიდან დარჩენილი ერთად-ერთი გადარჩენილი ფარდულის კუთხეში მიკრუნჩხული ბავშვები, — აი ის სურათები, რომლებიც თვალწინ წარმოუდგება განთავისუფლებულ რაიონებში შესულ თითოეულ საბჭოთა მეომარს!

ომმა, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ათასობით ოჯახი დაანგრია, მან დაარღვია ცხოვრების ჩვეულებრივი წყობა არა მარტო ოკუპირებულ რაიონებში, არა მარტო ფრონტისპირა ზოლში, არამედ შორეულ ზურგშიც.

შორეულ ზურგში, ქალაქებსა და საკოლმეურნეო სოფლებში დაბინავდა გერმანელთა მიერ დროებით დაკავებული და ფრონტისპირა რაიონებიდან ევაკუირებული მოსახლეობა. ბავშვები შორეულ ზურგში გაიყვანეს. ისინი ახალ, უჩვეულო ვითარებაში აღმოჩნდნენ. მაგრამ ზურგის მოსახლეობის ბავშვებიც შეცვლილ პირობებში ცხოვრობენ. მამები ფრონტზე არიან, დედები თავდაცვის საქმეზე მუშაობენ — ასეთი ოჯახი ახლა ცოტა როდია.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვები მუდამ ყურადღებითა და მზრუნველობით, სიყვარულითა და ალერსით იყვნენ გარემოცულნი. ეს ტრადიცია მემკვიდრეობად დაგვიტოვა დიდმა ლენინმა, მას მზრუნველობით იცავს და სათუთად ეპყრობა ამხანაგი სტალინი.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის ყველაზე მძიმე წლებში ლენინი მუდამ ფიქრობდა ბავშვებზე. მათთვის, მომავალი თაობებისათვის, იქმნებოდა ახალი ცხოვრება. გორკიში, როდესაც ბავშვებზე ლაპარაკობდა, ლენინმა მაქსიმ გორკის უთხრა:

— აი ესენი უკვე ჩვენზე უკეთ იცხოვრებენ...

იმ თაობამ, რომლის წარმომადგენლებიც გორკიში ლენინთან მიდიოდნენ, ბრწყინვალე, საამურ ცხოვრებას მიაღწია. ამ სტალინური თაობიდან აღიზარდნენ ჩვენი სამამულო ომის გმირები. ამ გმირებით ამაყობს ჩვენი სამშობლო. ახლა ისინი ფრონტზე იბრძვიან თავისი შვილების ბედნიერი ცხოვრებისათვის, რისი წართმევაც ფაშისტებს უნდათ. ჰიტლერელებს სძულთ ჩვენი ახალგაზრდა თაობა. გერმანელი გენერლის რაიჰენაუს ბრძანებაში არის სპეციალური პუნქტი, რომელიც მოითხოვს შეუბრალებლად გაუსწორდნენ საბჭოთა ბავშვებს. ფაშისტები ჩვენს ბავშვებს აწამებენ, როგორც მოზრდილებს. ჩვენი ახალგაზრდა თაობა, ჩვენი ბავშვები ფაშისტი ძაღლების მოსისხლე მტრები არიან. შეიძლება თუ არა არსებობდეს უკეთესი ქება აღზრდის საბჭოთა სისტემისა, კომკავშირისა, სკოლისა, მშობლებისა, რომლებმაც ბავშვების ასე აღზრდა იციან? საბჭოთა მოზარდები და პატარა ბავშვები ნამდვილი პატრიოტები არიან. მათ უყვართ თავისი სამშობლო არა ბავშვური, არამედ მოზრდილის სიყვარულით.

და სამშობლოსაც მისთვის ამ მძიმე დღეებში უნდა ახსოვდეს ბავშვები. ჩვენი ბავშვები ახლა წინანდელზე უფრო მეტად საჭიროებენ საერთოდ მთელი ჩვენი ქვეყნის და კერძოდ მისი თითოეული პატრიოტის მზრუნველობასა და ალერსს. ჩვენში ბევრს და კარგად ზრუნავენ ბავშვებისათვის. განთავისუფლებულ რაიონებში პირველი ნაჭერი პური, პირველი აშენებული სახლი ბავშვებს ეძლევათ. ევაკუაციის დროს პირველი ეშელონი ბავშვებისათვისაა გამზადებული, ევაკუირებულთა მიღების დროს პირველი ჭიქა რძე, პირველი ალერსი ბავშვს ეკუთვნის. საბავშვო დაწესებულებებსა და ინტერნატებში, საბავშვო ბაღებში ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია კარგი მოვლა და ნორმალური კვება. ბავშვებს საშუალებას აძლევენ ისწავლონ და დაისვენონ. ბავშვებს შრომას აჩვევენ.

საბავშვო სახლი, ინტერნატი—ეს კარგი და აუცილებელია. მაგრამ ეს ოჯახის მაგიერობას ვერ გასწევს. ოჯახი კი ესაჭიროება ბევრ ბავშვს, რომლებმაც მშობლები დაჰკარგეს. მათ აკლიათ დედობრივი ალერსი. მათ პატარა გულს ენატრება სახლი, ოჯახი, მათ უნდა დავეხმაროთ.

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, თუ რა კეთილშობილი თაოსნობა გამოიჩინეს „კრასნი ბოგატირის“ მუშა-ქალებმა ოვჩინიკოვამ, ტრუტნევამ, შაროვამ და სხვებმა. რუსი ქალისათვის დამახასიათებელი უბრალოებითა და სულგრძელობით მათ აღსაზრდელად აიყვანეს დაობლებული ბავშვები. უზბეკეთში ასევე მოიქცა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი აკილხან შარაფუტდინოვი და მის შემდეგ ტაშკენტში ევაკუირებული ბავშვები პირდაპირ რამდენიმე დღეში დაიტაცეს. აღმოჩნდა მუშათა და ინტელიგენტთა ათობით ოჯახები, რომლებმაც მოისურვეს თავშესაფარი მიეცენ ფაშისტებისაგან დაზარალებულ ბავშვებს.

წმინდა, კეთილშობილი, ნამდვილად პატრიოტული საქმეა! მიბაძვის ღირსი მაგალითია!

ერთ-ერთი საბჭოთა პატრიოტი ქალი, ნატალია ალექსანდრეს-ასული პფლაუმერი, რომელმაც ხუთი ნაშვილევი ბავშვი აღზარდა, „პრავდის“ რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში სწერდა: „სამშობლოს წინაშე ჩვენი მოვალეობაა არ დავუშვათ, რომ ჩვენში იყვნენ უპატრონო და უმეთვალყურეო ბავშვები. ჩვენი გმირების ობლებს ჩვენ მშობლების მაგიერობა უნდა გავუწიოთ. არ შეიძლება დამშვიდებით, გულზე ხელდაკრეფილი ვისხდეთ და ბავშვებისათვის მთელი მზრუნველობა სახელმწიფოს დავაკისროთ. სამშობლოსათვის მძიმე დღეებში თითოეული მოქალაქე პირადი ინიციატივით უნდა დაეხმაროს პარტიას და მთავრობას, რომელთა წინაშე უამრავი უაღრესად პასუხსაგები ამოცანაა დასახული.

ბავშვების აღზრდა უფრო ადვილია, ვიდრე მათი გარდაქმნა. ერთი წლის განმავლობაში უმეთვალყურეოდ ყოფნას შეუძლია წარუშლელი კვალი დააჩნიოს ბავშვის სულს. რაც უფრო მეტი დაობლებული ბავშვი ჰპოვებს ახალ ოჯახს, სიყვარულსა და ალერსს, მით უფრო მეტს მოიგებს ამით მომავალში მთელი ჩვენი ქვეყანა“.

ომმა ჩვენს წინაშე სერიოზული ამოცანა დასახა—დავიცვათ ბავშვები ომის საშინელი შედეგებისაგან. ფაშისტები თავისი ბავშვებისაგან ახალგაზრდა მხეცებს ზრდიან. ისინი თავის მახინჯებს ასწავლიან ძარცვას, ძალადობას, კვლას. ჩვენ უნდა გამოვზარდოთ იმ კეთილშობილი მიზნების ღირსი ცვლა, რომელთათვისაც იბრძვის და სიცოცხლეს სწირავს უფროსი თაობა.

ამიტომ კიდევ უფრო მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ ბავშვებისათვის! პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ ჩვენი საბავშვო დაწესებულებების მუშაობას. უფრო მეტი უაღრესად ფართო საზოგადოებრივი დახმარება ბავშვებს! აქ არ არის და არც შეიძლება იყოს პატარა საქმეები. საქალაქო საბჭოს მიერ სასწრაფო წესით ორგანიზებული სკოლის რემონტით დაწყებული, ევაკუირებული ბავშვებისათვის დიასახლისის მიერ თავისუფალ დროს მოქსოვილი ერთი წყვილი ხელთათმანით დამთავრებული, —ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველაფერი საჭიროა.

უაღრესად სასტიკი საზოგადოებრივი კონტროლი უნდა გაეწიოს ყველაფერს, რაც კი ბავშვებისათვის კეთდება, ყველგან—ფრონტისპირა ზოლში, განთავისუფლებულ რაიონებში, ზურგში, საბავშვო ბაღებში, საბავშვო სახლებში, სკოლებში. ფრონტზე მებრძოლი გმირი მეომრების შვილები უნდა გრძნობდნენ, რომ მთელი ქვეყანა მათთვის ზრუნავს. ფრონტზე მყოფი მებრძოლები სავსებით უნდა იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათს შვილებს მათი არყოფნის დროს არ მოაკლდებათ მეთვალყურეობა, გულთბილი ალერსი.

ბავშვებისათვის ზრუნვა დიდი, უდიდესი საქმეა. ჩვენი საბჭოთა სამშობლოს მომავალი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გავართმევთ თავს ამ საქმეს. მიხაკისფერი ჭირისაგან სამუდამოდ განთავისუფლებულ მსოფლიოში ხომ ჩვენი შვილების ხელით უნდა აშენდეს მომავალი ბრწყინვალე ცხოვრება.

„პრავდის“ მოწინავე, 4/II.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
ამხ. ა. პ. ჩეკალინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მამაცობისა და გმირობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში, ალექსანდრე პავლეს-ძე ჩეკალინს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს მას ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 4 თებერვალი.

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება იმ პარტიზანებისა, რომლებმაც ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს

გულადობისა და მამაცობისათვის, რაც გამოჩენილ იქნა ზურგში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 4 თებერვლის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით პ. ს. მაკეევი, ე. ი. ოსიპენკო და დ. ტ. ტეტერჩევი.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 4 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 4 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 10 კაცი, მედლით „მამაცობისათვის“ — 21 კაცი. მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 17 კაცი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
5 თებერვლის დილის ცნობა

4 თებერვლის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აქტიურ ბრძოლას განაგრძობდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

ჩვენმა გემებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 3 ტრანსპორტი, რომელთა საერთო წყალწყვა უდრის არა 8.800 ტონას, როგორც საინფორმაციო ბიუროს 2 თებერვლის ცნობაში იყო აღნიშნული, არამედ 14.800 ტონას.

* * *

ჩვენმა მებრძოლებმა ამხ. სელეზნიოვის მეთაურობით (დასავლეთის ფრონტი) მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდეები გადალახეს და 6 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მარტო სოფელ ლ-სათვის ბრძოლის დროს მტერმა 70 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა და 4 ქვემეხი მიატოვა. სხვა უბანზე გერმანელები ცდილობდნენ კონტრიერიშით მოეტანათ ჩვენს ერთ-ერთ მსროლელ ნაწილზე. საარტილერიო ქვეგანაყოფის მეთაურმა ალექსანდრე ვასილის-ძე ჩაპაევმა—ცნობილი სარდლის შვილმა გრიგალისებრი საარტილერიო ცეცხლი დაუშინა მტერს. მოწინააღმდეგემ 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა და უკუიქცა.

* * *

კალინინის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა ერთი დღის განმავლობაში 5 დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს, მოსპეს გერმანელთა 27 ტანკი, 5 ქვემეხი და 3 ტყვიამფრქვევი. ამ ოპერაციების დროს მოკლული და დაჭრილია 5.200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა ერთი დღის განმავლობაში დაანგრია მოწინააღმდეგის 27 ძელმიწური საცეცხლე წერტი და მოსპო მისი 6 ტყვიამფრქვევი და 3 ნაღმსატყორცნი. ბრძოლის ველზე დარჩა 400-ზე მეტი მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

გერმანელ ოკუპანტებთან ბრძოლის დროს მამაცობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა მფრინავმა-ლეიტენანტმა ბოჩაროვმა. ამხ. ბოჩაროვის თვითმფრინავმა იერიში მიიტანა გერმანელთა 3 ავიაგამანადგურებელზე. მამაცმა მფრინავმა საჰაერო ბრძოლის დროს გერმანელთა 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო, ხოლო მესამე მანქანა დააზიანა. ამხ. ბოჩაროვის თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში.

* * *

გერმანელ ოკუპანტთა ზურგში მამაცურად იბრძვის ორიოლის პარტიზანთა რაზმი ამხ. მ-ს მეთაურობით. აი მოკლე ჩანაწერი ამ რაზმის საბრძოლო მოქმედების შესახებ.

„ამფეთქებელთა ჯგუფმა ამხ. ჩ-ს მეთაურობით ააფეთქა ხიდები იმ გზაზე, რომლითაც გერმანელებს სომარი მასალა მიჰქონდათ ფრონტზე, და მოშალა კავშირი ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ დიდ დასახლებულ პუნქტებს შორის.

პარტიზანთა ჯგუფი ამხ. ვ-ს მეთაურობით თავს დაესხა ფაშისტთა ალალს, დახოცა მცველნი და ხელთ იგდო ადგილობრივი მოსახლეობისათვის წართმეული 13 საზიდარი სხვადასხვა ნივთი.

2 დღის ბრძოლის დროს რაზმმა 2 დასახლებული პუნქტი წაართვა გერმანელებს. ჰიტლერელებმა სცადეს დაებრუნებინათ სოფლები, მაგრამ ვერ შესძლეს. ფაშისტებმა მრავალი ჯარისკაცი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით“.

მოკლე ხნის ბრძოლის განმავლობაში ამხ. მ-ს რაზმმა დახოცა 149 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 5 ავტომანქანა და 3 ცისტერნი ბენზინი და ააფეთქა 19 ხიდი. რაზმმა ხელთ იგდო მტრის 31 შაშხანა, 2 ტყვიამფრქვევი, 16.000 ვაზნა, 1 ნაღმსატყორცნი, 4 ავტომატი, 2 რადიომიმღები, 13 საზიდარი და სხვა სამხარი საჭურველი.

* * *

გერმანელთა მე-6 სატანკო დივიზიის მე-6 მოტოქვეითი ბატალიონის მე-2 ასეულის ჯარისკაცი ვილჰელმ მაასენი 19 დეკემბერს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გამოგზავნეს. იგი ტყვედ ჩავიგდეთ ერთ დასახლებულ პუნქტში, სადაც იგი გერმანელთა გარნიზონის გასაძლიერებლად გამოგზავნილ თავის ქვეგანაყოფს მოჰყვა. მაასენმა განაცხადა: „მე-6 სატანკო დივიზიამ მთელი თავისი ტანკები დაჰკარგა და ახლა მოქმედებს როგორც ქვეითი შენაერთი. ჯარისკაცები მეტად დაიღალნენ, ისინი ჰკმობენ ომს და უკვე დაჰკარგეს იმის რწმენა, რომ ომი გერმანიის სასარგებლოდ დამთავრდება. გერმანიაში ვერავინ ბედავს აშკარად გაილაშქროს ჰიტლერის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხი ჯერჯერობით მალულად გამოხატავს თავის აღშფოთებას მისი ყაჩაღური პოლიტიკის გამო“.

* * *

გერმანელი ეფრეიტორი ტროი წერილში, რომელიც თავისი ძმის, ლეიტენანტ ვალტერ ტროისათვის უნდა გაეგზავნა, სწერდა: „ყინვა აქ 30 გრადუსს აღწევს. ჯარისკაცების ნახევარ რაოდენობას ფეხები დამზრალი აქვს. ტილებმა გაგვაწამეს“.

* * *

ჰიტლერელმა ბანდიტებმა დასწვეს კურსკის ოლქის სოვეტსკის რაიონის სოფელი კშენი. სულ 114 სახლი დაიწვა. გერმანელი ჯარისკაცები ხანძრის ჩაქრობას არ ანებებდნენ მცხოვრებთ, ვინც კი მოხედვოდათ, ყველას ხვრეტდნენ. ბანდიტებმა მძიმედ დაუჭრეს ორი წლის ბავშვი ა. ზ. ატანოვას, როდესაც მას თავისი შვილი გამოჰყავდა ცეცხლმოდებული სახლიდან.

* * *

იუგოსლაველი პარტიზანები ქალაქ ვოღინიჩში გარს შემოერტყნენ იტალიის გარნიზონს, რომელიც 4 ათასი კაცისაგან შესდგებოდა. ოკუპანტთა ყოველივე ცდა გაერღვიათ რკალი, უშედეგოდ აღმოჩნდა და იმით დამთავრდა, რომ იტალიელებმა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი დაჰკარგეს მოკლულთა სახით. პარტიზანთა მხარეზე იარაღიანად გადავიდა გერმანელების მიერ ლუქსემბურგში მობილიზებული 120 ჯარისკაცი, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ იუგოსლავიაში პარტიზანულ მოძრაობის ჩასაქრობად.

5 თებერვლის საღამოს ცნობა

5 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს სძლევდნენ და წინსვლას განაგრძობდნენ.

4 თებერვალს საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია 22 და აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 16 თვითმფრინავი. სულ ამ დღის განმავლობაში მოსპობილია მოწინააღმდეგის 38 თვითმფრინავი. ჩვენ 10 თვითმფრინავი დავკარგეთ.

5 თებერვალს მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანელთა 9 თვითმფრინავი.

* * *

4 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი, 250 ავტომანქანა ჯარისკაცებითა და ტვირთიანად, 150 საზიდარი სამხარი მასალა, 3 ავტოცისტერნი საწვავი, 33 ქვემეხი გუნდებიანად, 7 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, ააფეთქეს სამხარი მასალის 2 საწყობი და საწვავის საწყობი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ჩვენმა ჯარებმა მტერთან ერთი დღის გააფთრებული ბრძოლების დროს გერმანელთაგან გაათავისუფლეს 6 დასახლებული პუნქტი. რკინიგზის ერთ სადგურზე ჩვენმა ნაწილმა ხელთ იგდო 150 ვაგონი სამხარი მასალა და 8 ტანკი. ფრონტის სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა 3 დასახლებული პუნქტიდან გარეკეს ჰიტლერელები. გერმანელებმა ბრძოლის ველზე დასტოვეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა 200 გვამი, 5 ქვემეხი და დიდძალი სამხარი მასალა.

* * *

ბრძოლის უკანასკნელი დღეების განმავლობაში მეთაურ ბეზვერხოვის გვარდიის ნაწილმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, გაანადგურა 3 პოლკი მტრის ქვეითი ჯარი და ხელთ იგდო გერმანელთა 15 ტანკი, 460 ავტომანქანა, 5 ჯავშნიანი მანქანა, 15 ტრანსპორტიორი, 20 ქვემეხი, 50 ტყვიამფრქვევი, 30 ნაღმსატყორცნი, 200 ავტომატი, 500 შაშხანა, 7 რადიოსადგური, 350 ათასი შაშხანის ვაზნა და აგრეთვე დიდძალი მედიკამენტებით.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ცხენოსანმა ნაწილმა მტრის წინააღმდეგ 7 დღის ბრძოლების დროს მოსპო გერმანელთა 2 თვითმფრინავი, 8 ქვემეხი და 150 ავტომანქანა სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. კავალერისტებმა ხელთ იგდეს მტრის 52 მოტოციკლი, 10 ტყვიამფრქვევი, 153 შაშხანა, 60 ცხენი; მოწინააღმდეგემ 800-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა.

* * *

ცხენოსანმა მზვერავებმა — ცილაროვმა, ვასინმა, გრაჩოვმა, გავრილოვმა და ფედოტოვმა სერჟანტ ივანინის მეთაურობით სოფელ კუზნიცის მახლობლად მოწინააღმდეგის ზურგში ყოფნის დროს შენიშნეს გზაზე მიმავალი გერმანელთა ალალი. მზვერავებმა ახლო მოუშვეს მოწინააღმდეგე და ხელის ტყვიამფრქვევისა და ავტომატების სროლა აუტეხეს. უეცარმა თავდასხმამ თავზარი დასცა გერმანელებს, რომელნიც პანიკით შეპყრობილნი აქეთ-იქეთ გაიქცნენ და გზაზე დასტოვეს 30 მოკლული ჯარისკაცი. გაბედულმა მზვერავებმა ხელთ იგდეს და თავიანთი ნაწილის შტაბში მიიყვანეს 2 ტყვე და 2 ცხენი, შტაბშივე მიიტანეს ხელის ტყვიამფრქვევი, 2 ავტომატი და 11 შაშხანა.

* * *

ლენინგრადის ოლქის პარტიზანები განაგრძობენ მტრის დაქანცვას და მისი იარაღისა და ცოცხალი ძალის მოსპობას. ამას წინათ პარტიზანთა რაზმმა ამხ. კ-ს მეთაურობით დანაღმა კ. პუნქტიდან ზ. პუნქტამდე მიმავალი გზა. ნაღმებმა ააფეთქა 2 სატვირთო ავტომანქანა, რომლითაც ქვეითი ჯარი მიდიოდა. მოკლული და დაჭრილია 30-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი. პარტიზანებმა ამავე გზაზე სროლა აუტეხეს მტრის სურსათის ალალს და 46 გერმანელი ჯარისკაცი დახოცეს.

* * *

გერმანელთა 35-ე ქვეითი დივიზიის 35-ე საარტილერიო პოლკის მე-6 ბატარეის ტყვე ეფრეიტორმა ჰელმუტ ჰოფმანმა სთქვა: „ყველა ნაწილმა უსასტიკესი ბრძანება მიიღო დაიცვან თითოეული სოფელი, სანამ ერთი ჯარისკაცი მაინც შერჩებათ. ოფიცრები გაფრთხილებული არიან, რომ ყველა, ვინც უკან დაიხევს და საამისო ბრძანება არ ექნება, სამხედრო-საველე სამართალში იქნება მიცემული. ამის მიუხედავად, 35-ე დივიზიის ნაკრებმა ბატალიონმა, რომელიც მზვერავებისა და არტილერისტებისაგან არის შედგენილი, სასწრაფოდ დაიხია უკან, თუმცა ბრძანება ჰქონდა, რადაც უნდა დაჯდომოდა შეენარჩუნებინა პოზიციები. ბატალიონის მეთაური მაიორი მანდელშლოსი მოკლულ იქნა. თვითნებური უკანდახევის შემთხვევები ამ უკანასკნელ ხანს სულ უფრო და უფრო ხშირია. ქვეითი ჯარის ნაწილებში მეტყვიამფრქვევენი აკლიათ. ამის წინად საარტილერიო პოლკიდან გაწვეულ იქნა ყველა ჯარისკაცი, რომელმაც ტყვიამფრქვევის ხმარება იცის. დიდი ზარალი მოუვიდათ არა მარტო ქვეითი ჯარის ნაწილებს, არამედ არტილერიის ნაწილებსაც. საარტილერიო პოლკის მე-2 დივიზიონში 192 კაცი იყო. ამჟამად მხოლოდ 90 დარჩა. თორმეტი 105-მილიმეტრიანი ქვემეხიდან მხოლოდ 2 დარჩა. გერმანიის არმიის მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა. ახლა დამზრალ ჯარისკაცებს ლაზარეთებში აღარ იღებენ. დამზრალი იმდენად ბევრია, რომ სამედიცინო პერსონალი ვერ აუდის მათ. ეს პერსონალი დიდძალი დაჭრილის მომსახურებას უნდება და დამზრალთ ველარ უწევს დახმარებას“.

* * *

მოწინააღმდეგისათვის წართმეულ დოკუმენტებს შორის აღმოჩნდა მე-4 მოტომსროლელი პოლკის მე-2 ასეულის მეთაურ ლეიტენანტ კლაინზორგენის მოხსენება „24 დეკემბერს მომხდარი ზარალის შესახებ“. ლეიტენანტი მოხსენებაში სწერს, რომ ამ დღეს ასეულის შემადგენლობიდან მოკლულია ერთი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი; დაჭრილია ერთი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი; უკვალოდ დაიკარგა ერთი ოფიცერი და ერთი ჯარისკაცი. შესაჯამებელ სვეტში „ასეულის საერთო ზარალი წარსული დროის განმავლობაში“ ლეიტენანტი შემდეგ ციფრებს იძლევა: „მოკლულია უნტერ-ოფიცერი და რიგითი ჯარისკაცი—60, დაჭრილია 118, უკვალოდ დაკარგულია—7“.

* * *

ჩვენი ნაწილების მიძალების გამო ტულის ოლქის არსენიევის რაიონის სოფელ კლოდეზის დატოვებისას ფაშისტმა მტარვალებმა ცეცხლი წაუკიდეს ამ სოფელს ყველა მხრიდან. ცეცხლმა მოსპო 38 სახლი, ბაკები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები; ჰიტლერელმა ბანდიტებმა ყველა კოლმეურნეს წაართვეს თბილი ჩექმა, საქონელი, ფრინველი და მთელი საოჯახო ნივთები. ბევრი კოლმეურნეს ფაშისტები მათრახით სცემდნენ.

* * *

გერმანიაში პარტახტიანი ტიფის ეპიდემია მატულობს. ავადმყოფების მოსათავსებლად გერმანელთა ხელისუფალნი სასტუმროებისა და დიდი სახლების რეკვიზიციას ახდენენ. არასაკმაო სამედიცინო დახმარების, წამლის უქონლობის, აგრეთვე ავადმყოფთა ორგანიზმის შიმშილით მეტისმეტი დაუძლურების გამო სიკვდილიანობა ერთობ დიდია. ამა წლის იანვარში მარტო ჰამბურგში 960 კაცი მოკვდა პარტახტიანი ტიფით. განსაკუთრებით დიდია ტიფიანი ჯარისკაცების სიკვდილიანობა, რომელთათვისაც ჰოსპიტლები მოწყობილია პოლონეთში. რადგანაც ეპიდემიამ საშიში ხასიათი მიიღო, 2 თებერვალს ფაშისტთა გაზეთმა „ჰამბურგერ ფრემდენბლატმა“ გამოაქვეყნა ჰამბურგის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ მიულენსის მიმართვა; იგი გერმანიის მოსახლეობას მოუწოდებს ხელი შეუწყოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს პარტახტიანი ტიფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

უფროსი ლეიტენანტი ბერეკაშვილი
(მოსკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან)

3 თებერვლის გაზეთ „კრასნი ფლოტში“ მისი კორესპონდენტი სევასტოპოლიდან იუწყება:

შავი ზღვის ფლოტის სამხედრო საბჭომ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა დიდი ჯგუფი მებრძოლებისა, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისა, რომლებმაც თავი ისახელეს ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში სევასტოპოლის მისადგომებზე.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია უფროსი ლეიტენანტი ბერეკაშვილი. ამ მამაცმა მეთაურმა არა მარტო უზრუნველჰყო თავისი ქვეგანაყოფის მკაფიო საბრძოლო ორგანიზაცია, არამედ პირადი მაგალითითა და სიმამაცითაც არაერთხელ აღაფრთოვანებდა ბრძოლაში მიმავალ მეზღვაურებს. ერთხელ მტერმა მოახერხა ზურგში მოქცეოდა ჩვენს ასეულს. უფროსი ლეიტენანტი ბერეკაშვილი იერიშზე გაუძღვა მებრძოლებს. მტერი უკუქცეულ იქნა.

ვ. ქარა მურზა.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

დიდი ამოცანები დგას საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე. ფრონტი, ჩვენი ქვეყანა მეტს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მოითხოვენ. 1942 წელს საქართველოში დიდდება მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების ნათესები. კოლმეურნეობებში საწარმოებს ახალი მიწების ათვისება და მოსავლიანობის გასადიდებლად კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა. თესვისათვის წელს ისე უნდა მოვემზადოთ, როგორც არასოდეს, რადგან ამას მოითხოვს სამამულო ომის პირობები.

მრავალი კოლმეურნე, სოფლის მეურნეობის მუშაკი, სპეციალისტი წითელ არმიაში იქნა გაწვეული. ისინი ახალმა მუშაკებმა, ახალმა ძალებმა შეცვალეს. მათ შორის ბევრია ქალი, ისინი დიდი გულმოდგინებით აწარმოებენ სატრაქტორო საქმეს. გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოში 2500-ზე მეტი ტრაქტორისტი მომზადდა. ბევრი მათგანი საუკეთესოდ მუშაობს. გურჯაანის მტს-დან ტრაქტორისტები ანეტა ჭუმბურიძე, მარგო ბიჭოიანი, მარო სირბილაშვილი დღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებენ და ყოველ ჰექტარზე 3-5 კილოგრამ საწვავს ზოგავენ.

ამჟამად მესამე ნაკადზე მტს-ებში ტრაქტორისტებად უნდა მომზადდეს 1.445 კაცი, 219 კომბაინერი. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მტს-ების პოლიტგანყოფილებები ვალდებული არიან მთელი სერიოზულობით მოეკიდონ მექანიზატორთა კადრების მომზადებას. მსმენელთა კონტინგენტის სწორად დაკომპლექტებასთან ერთად მიღებულ უნდა იქნას ზომები კურსებზე ნორმალური მეცადინეობის უზრუნველსაყოფად.

მთელი რიგი მტს-ები კადრების მომზადებას დიდ ყურადღებას აქცევენ. ასეთებია: ხაშურის, გორის, წითელ ქალაქის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და ვანის მტს-ები.

მაგრამ ზოგან კადრების მომზადების შეუფასებლობას იჩენენ. შეუწყნარებელი უდარდელობის შედეგია ის, რომ ახალციხის მტს-ში პირველ ნაკადზე 37-ის ნაცვლად 15 ტრაქტორისტი მოამზადეს. ჩამორჩენა აქვთ თიანეთის, ადიგენის, ქსნის, სტალინირის და მცხეთის მტს-ებს.

კურსებზე თეორიული სწავლების კარგად დაყენებასთან ერთად საჭიროა ორგანიზებულად იქნას მოწყობილი მსმენელთა პრაქტიკული მეცადინეობა. მსმენელებმა [illegible] უნდა აითვისონ ტრაქტორების ნაწილები და ისინი უფრო ხშირად უნდა გადიოდნენ მინდვრად და მტს-ების [illegible] სახელოსნოებში საწარმოო [illegible].

ახლად [illegible] ტრაქტორისტები მაქსიმალურად [illegible] რემონტზე კვალიფიკაციის ამაღლებლად. ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტები შესანიშნავ ინიციატივას იჩენენ. ძველი ტრაქტორისტები ისევ ბრუნდებიან მტს-ებში სამუშაოდ, რომ თავდადებული შრომით დაეხმარონ წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა სრულ განადგურებაში. გორის მტს-ში სამუშაოდ დაბრუნდა ძველი ტრაქტორისტი ბ. ნაზარაშვილი და 60 წლის ი. ფარეხაშვილმა კვლავ ტრაქტორის საჭე აიღო ხელში. ხაშურის მტს-საც შემატა ძველი ტრაქტორისტები: დ. იმერლიშვილი, შ. ფხაკიძე და დ. გელაშვილი. პატრიოტთა ეს ინიციატივა ყოველმხრივ მისასალმებელია.

საგაზაფხულო თესვის ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული მანქანებზე. მთელმა რიგმა მტს-ებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს ტრაქტორების საზამთრო რემონტი. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ მოხერხებულად გამოიყენეს შინარესურსები და აღადგინეს ტრაქტორების ძველი ნაწილები. გორის მტს-ის კოლექტივი უკვე გამოეხმაურა სტალინგრადის ოლქის ილოვლის მტს-ის ახალგაზრდობის შესანიშნავ ინიციატივას ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების შეგროვების საქმეში. გორის მტს-ში ამ მხრივ ფართოდ გაშალეს მუშაობა და ადგილზე 3.000 ცალამდე სხვადასხვა ნაწილი შეაგროვეს. მტს-ებმა, მტს-ების პოლიტგანყოფილებებმა ყოველმხრივ უნდა დაუჭირონ მხარი ამ საუცხოო ინიციატივას, რომელიც მიმართულია საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სახელოვანი წითელი არმიის XXIV წლისთავის ახალი მიღწევებით შესახვედრად. არ უნდა დარჩეს არც ერთი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში არ იყოს ჩაბმული. ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღვნიშნოთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის XXIV წლისთავი—ასეთია ამოცანა.

დროულად შევაკეთოთ იარაღ-მანქანები, გამოვყოთ მაღალხარისხოვანი თესლი, მოვამზადოთ მექანიზატორთა ახალი კადრები ისე, რომ 1942 წლის საგაზაფხულო თესვა ჩავატაროთ ორგანიზებულად, მოკლე ვადებში. მივცეთ ფრონტს, ჩვენს ქვეყანას მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

სოფლის მეურნეობის კვალიფიციური მუშაკები უბრუნდებიან თავიანთ სპეციალობაზე მუშაობას

გორი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). გორისა და ხაშურის რაიონებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოწოდებამ—შევცვალოთ წითელ არმიაში გაწვეული ამხანაგები, უფრო მეტად დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას და ჩვენს ქვეყანას პურის, ხორცის და ბოსტნეულის უხვად მიწოდებით, მრეწველობა კი უზრუნველვყოთ საჭირო ნედლეულით.

გორის მტს-ში ტრაქტორის საჭეს დაუბრუნდა ბ. ნაზარაშვილი, რომელიც აქ 1937-1940 წლებში მუშაობდა და წასული იყო სოფლად. მანვე მტს-ში სამუშაოდ მოიყვანა თავისი და მაშო, რომელსაც ტრაქტორისტობასასწავლის. ამავე მტს-ში სამუშაოზე დაბრუნდა ტრაქტორისტი ი. ფარეხაშვილი, ჩაიბარა ტრაქტორი და ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. ასევე მოიქცა აქ ტრაქტორისტი ი. შულიაშვილი, რომელიც დღემდე გორის ერთ-ერთ დაწესებულებაში მუშაობდა არა სპეციალობის მიხედვით.

ხაშურის რაიონში აგრონომი მ. ცხოვრებაძე მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორად მუშაობდა, ამჟამად კი იგი დაუბრუნდა თავის სპეციალობაზე მუშაობას თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში.

ძველი კვალიფიციური კადრები მრავლად უბრუნდებიან თავიანთ სპეციალობაზე მუშაობას ხაშურის მტს-შიც. აქ უკვე მოვიდნენ სამუშაოდ ტრაქტორისტები: დ. იმერლიშვილი, შ. ფხიკიძე, ა. ქიმერიძე, დ. გელაშვილი, შ. კუპაიძე და ვ. ქიმერიძე.

ახლად დაბრუნებული მუშაკები პირობას იძლევიან, რომ უზრუნველჰყოფენ ტრაქტორების და იარაღ-მანქანების გაუცდენლად მუშაობას, მიაღწევენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

შევაგროვოთ სათადარიგო ნაწილები ტრაქტორების შესაკეთებლად

სამამულო ომის დღეებში გორის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა იმისათვის, რომ თავდადებული მუშაობით დაეხმაროს გმირულ წითელ არმიას გერმანელ აგაზაკთა ხროვის განადგურებაში, წარმატებით შეასრულოს დიდი სტალინის მოწოდება საკოლმეურნეო სოფლისადმი — უზრუნველჰყოს წითელი არმია და ჩვენი ქვეყანა პურით, ხორცით, ბოსტნეულით, უხვად მიაწოდოს მრეწველობას საჭირო ნედლეული.

სოციალისტურ მინდვრებზე მაღალი, სტალინური მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად გორის მტს-ში ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოდან გაიშალა მუშაობა—დაკომპლექტებულ იქნა სარემონტო ბრიგადები, შესდგა მუშაობის გრაფიკი და როგორც ძველ, ისე ახალ მომზადებულ მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგად ვადაზე ორი თვით ადრე, 20 დეკემბრისათვის ნაცვლად 29 ტრაქტორისა, 33 ტრაქტორი შეკეთდა. ამავე დროს მტს-ში დამთავრდა გუთნების რემონტი, ხოლო 1 იანვრისათვის — სათესებისა და კულტივატორების შეკეთება.

გასული წლებისაგან განსხვავებით მტს-მა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ადგილობრივი რესურსების გამოყენებას — ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებლად ინსტრუმენტების მომზადებას, სათადარიგო ნაწილებისა და ლითონების ნარჩენების გამონახვას, შეგროვებასა და აღდგენას. ადგილობრივ დროულად იქნა გამოძებნილი და უკვე აღდგენილია რემონტისათვის საჭირო მთელი მასალის 50 პროცენტზე მეტი, მათ შორის რადიატორები, ძილაკები, საჭრისები, ჩაქუჩები, გასაღებები და მრავალი სხვა, სულ—3.000 ცალამდე. ამ ღონისძიებით მტს-მა დაზოგა თანხები, დაძლია რემონტისათვის საჭირო ნაწილების სიმცირე და ვადამდე დაამთავრა ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის სამუშაო. ამავე დროიდან მტს-ი შეუდგა კომბაინების, სალეწების, ხნულის შესაწამლი მანქანების და სხვათა შეკეთებას, აგრეთვე სათადარიგო ნაწილების დამზადებას საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, მტს-ის 12 ტრაქტორისტი კი განუწყვეტლივ ეხმარება შინდისის მტს-ს ტრაქტორების შეკეთებაში, აქვე ახლად მომზადებულია 71 ტრაქტორისტი, მათ შორის 50 ქალი, ხოლო დამატებით მზადდება 15 კომბაინერი, ბრიგადირი, ზეინკალი, ხარატი და სხვ.

მაგრამ ამ წარმატებებით მტს-ის კოლექტივი როდი კმაყოფილდება. სტალინგრადის ოლქის ილოვლის მტს-ის კომკავშირელთა მოწოდების საპასუხოდ ჩვენ გადავწყვიტეთ კიდევ უფრო ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების, ტრაქტორების ნაწილების და მათ შესაკეთებლად საჭირო ხელსაწყო-იარაღების, აგრეთვე ფერადი და შავი ლითონების ნარჩენების შეგროვებისათვის, ამავე დროს დავეხმაროთ კომკავშირულ ბრიგადებს, რათა აღნიშნული საგნები რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იქნას შეგროვებული. ამ სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისა და საგაზაფხულო თესვის ვადაზე ადრე დამთავრების უზრუნველსაყოფად მტს-ის კოლექტივმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სტალინირის მტს-ი.

საქართველოს მტს-ების მუშაკებო!

ილოვლის მტს-ის მუშაკთა ძვირფასი ინიციატივის საპასუხოდ ყველგან გავშალოთ მუშაობა ადგილებზე, შევაგროვოთ რაც შეიძლება მეტი სათადარიგო ნაწილები, ხელსაწყოები, შავი და ფერადი ლითონები და გამოვიყენოთ ისინი ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტისათვის.

გორის მტს-ის დირექტორი ქ. აბალაკი

პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე დ. ნინოშვილი

თანაშემწე კომკავშირის ხაზით ა. მეზვრიშვილი

უფროსი მექანიკოსი ზ. კოვალენკო

სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ი. ბასიტაშვილი

ტრაქტორისტი ჟ. ხარიბეგაშვილი

მეტი ქვანახშირი ქვეყანას!

არც ერთი ჩამორჩენილი უბანი!

ტყვარჩელი, 5 თებერვალი („კომუნისტის“ კორ.). ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების ზოგმა უბანმა თებერვალი ჩამორჩენით დაიწყო. 4 თებერვალს ცუდად იმუშავა მეხუთე უბანმა, რომელმაც სადღეღამისო დავალება სანახევროდ შეასრულა. ჩამორჩენით მუშაობს მერვე უბანი (უფროსი პლასიენკო). იგი მეხუთე თვეა ვერ ასრულებს ქვანახშირის ამოღების გეგმას. უბნის უფროსის ამხ. პლასიენკოს და ათისთავ ამხ. სერაფიმოვის უვარგისი მუშაობით 4 თებერვალს ცვლა სამუშაოზე ორი საათის დაგვიანებით გავიდა.

მაგრამ ყველა უბანი ცუდად როდი მუშაობს. 4 თებერვალს დავალებები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მესამე და მეშვიდე უბნებმა, რომლებსაც ამხ. გოცირიძე და ლაზარენკო ხელმძღვანელობენ. მესამე უბნის ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გორბატი ხელმძღვანელობს, 4 თებერვალს ქვანახშირის ამოღების გეგმა 150 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს კარგად იმუშავა ამხ. კობლიაკოვის ბრიგადამ. მან სადღეღამისო გეგმა 140 პროცენტით გაანაღდა.

ზ. მერკვილაძე

ძველი მაღაროელები ქვანახშირის სანგრევებზე

ტყიბული, 5 თებერვალი („კომუნისტის“ კორ.). ტყიბულის მაღაროებიდან წასული ძველი მუშები უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს და წარმატებით მუშაობენ. მაღაროებში სამუშაოდ დაბრუნდნენ ძველი კვალიფიციური მუშები ამხ. ივ. ბაბუხადია, ვ. ბრეგაძე, შ. გაბრიაძე, შალვა და სიმო კუბლაშვილები, რ. ზაქარიაძე, ი. გოჩელაშვილი, ივანეიშვილი, ძმები კვირიკეიშვილები და სხვ. ისინი დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს. 3 თებერვალს ივ. ბაბუხადიამ 19 ტონა ქვანახშირი დატვირთა, რითაც დავალება 137 პროცენტით შეასრულა.

ძველი მუშები განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ლენინის სახელობის მაღაროში. აქ ცალკე შეადგინეს ძველ მაღაროელთა ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. რ. ზაქარიაძე. ბრიგადა 3 თებერვალს შეუდგა მე-7 უბნის ახალი სანგრევის მომზადებას, 5 თებერვლისათვის სანგრევი წინ წასწია 22 მეტრით, დასდგა 35 ჩარჩო და 15 მეტრზე დააგო ახალი რკინიგზა. ახალი სანგრევის მომზადებასთან ერთად ბრიგადამ ამოიღო 150 ტონა ქვანახშირი. ბრიგადის წევრებმა 130-130 პროცენტით შეასრულეს დავალება. განსაკუთრებით გამოირჩევიან ამხ. გოჩელაშვილი, ივანეიშვილი, მახათაძე, ტროფიმოვი და ძმები კვირიკეიშვილები.

ქვანახშირის ტვირთვა გაუმჯობესდა

ტყიბული, 5 თებერვალი („კომუნისტის“ კორ.). ქვანახშირის სატვირთავმა ახალმა ბუნკერმა მეორედ გამოცდისას დაადასტურა თავისი უპირატესობანი: ქვანახშირის ტვირთვის გადიდება, მუშა-ხელის 80 პროცენტით დაზოგვა, ტვირთვის დროის 8-ჯერ შემცირება და სხვ.

ახალ ბუნკერს სთვლიან საქმიან წინადადებად, რომლის განხორციელებაზე ენერგიულად მუშაობდნენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი ამხ. შ. ცირეკიძე, ახალგაზრდა ინჟინრები ვ. შათირიშვილი და ფ. ნაჭყებია.

ტრესტმა დასახა ლენინის სახელობის მაღაროში დამატებითი ბუნკერის მშენებლობის გეგმა. მისი ტევადობა 10-ჯერ აღემატება ახლად აგებული ბუნკერის ტევადობას. იგი სავსებით უზრუნველჰყოფს ალმისაველთისა და ლენინის სახელობის მაღაროში ქვანახშირის ტვირთვას ავტომატური წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საწარმოო გამარჯვებებით შევხვდეთ წითელი არმიის XXIV წლისთავს

ვბურღოთ სწრაფად, ამოვიღოთ მეტი ნავთი

საქნავთის ტრესტის მირზაანის ბურღვის კანტორა გაცხოველებით ემზადება წითელი არმიის სახელოვანი წლისთავისათვის. მბურღავებმა ვალდებულება აიღეს 1942 წლის პირველი ორი თვის დავალება 23 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულონ და 5 პროცენტით შეამცირონ თვითღირებულება. კონკრეტული ვალდებულებანი აიღეს აგრეთვე ცალკე ბრიგადებმა და მბურღავებმა.

კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ამხ. მ. ავაქოვი ხელმძღვანელობს, პირობას იძლევა, რომ ახალი ჭაბურღილის ბურღვას 30 დღით ადრე დაამთავრებს. ბრიგადის წევრები—კომკავშირელები ამხ. მკერვალიძე, ქშუტაშვილი და სხვები ყოველდღიურ დავალებას 140–150 პროცენტით ასრულებენ. მბურღავთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მუშათა მთელი კოლექტივი თავგამოდებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, ფრონტს აძლევს მეტსა და მეტ ნავთს.

ფ. საპოჟნიკოვი

საქნავთის ტრესტის მირზაანის ბურღვის კანტორის უფროსი.

ადგილობრივი რესურსების გამოყენებით

მირზაანის ნავთის სარეწაოზე დიდძალი სამაგრი მილები გვჭირდება. ამისათვის მაქსიმალურად ვიყენებთ ადგილობრივ რესურსებს. წინათ გამოუყენებლად ვყრიდით ძველ, ნახმარ მილებს, ახლა კი ასეთ მილებს ვაგროვებთ და ახალ ჭაბურღილებზე ვიყენებთ. ეს საუცხოო შედეგებს გვაძლევს. ამით ერთ მილიონ მანეთზე მეტი დაიზოგება. ამ საქმეზე მუშაობენ ამხ. გ. ნაზაროვისა და პ. კრუპენკოს ბრიგადები. დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მბურღავები ამხ. ადისკაროვი, ბოსტოლანაშვილი და სხვ.

ჩვენ ვალდებულება ავიღეთ სახელოვანი წითელი არმიის წლისთავისათვის გეგმის ზევით 500 მეტრი მილები შევაგროვოთ. ეს პირობა შესრულებული იქნება.

ჩვენი საწარმოს კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ფრონტს მისცეს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ნავთი, ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნოს მშობლიური წითელი არმიის XXIV წლისთავი.

ს. ჯანბერიძე

საქნავთის ტრესტის მირზაანის ბურღვის კანტორის უფროსის მოადგილე, ორდენოსანი.

კოლონის მონაწილე მემანქანეთა წარმატებანი

თბილისელი მემანქანეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩელიაბინსკ-სამხრეთ ურალის რკინიგზის დეპოს მოწინავე მემანქანეთა წინადადებას — თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის სახელობის საორთქლმავლო კოლონის შექმნის შესახებ. გაიშალა შეჯიბრება კოლონაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. ამჟამად თბილისის საორთქლმავლო დეპოს 19 ორთქლმავალი და 48 მემანქანე ჩაბმულია საორთქლმავლო კოლონაში. თბილისელი მემანქანეები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. ისინიადიდებენ ორთქლმავალთა გარბენის ტექნიკურ სიჩქარეს, ზოგავენ საწვავ მასალას, ურემონტოდ დაჰყავთ ორთქლმავლები.

ლუნინელმა მემანქანეებმა ამხ. პაჭკაშვილმა და ყუფიანმა № 214/48 ორთქლმავალი ურემონტოდ ატარეს 80.000 კილომეტრზე. ისინი ასრულობენ ეს ციფრი 100.000 კილომეტრამდე აიყვანონ. კომკავშირელ მემანქანეს ამხ. პეტროვს და პოპოვს წელიწადი და სამი თვეა ურემონტოდ დაჰყავთ № 1448 ორთქლმავალი. ასევე ითქმის ამხ. ჩიგოგიძესა და შენგელაიაზეც.

კრივონოსულ-ლუნინური მეთოდით მუშაობენ აგრეთვე კოლონის მონაწილე მემანქანეები ამხ. ცხენოსანიძე, კოხრეიძე, შემანსკი, კიკნაძე და სხვ. ისინი ახალი საწარმოო გამარჯვებებით ხვდებიან წითელი არმიის XXIV წლისთავს.

საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთა შეჯიბრება

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარიატის საყოველთაო სამხედრო სწავლების მთავარი სამმართველო ატარებს საყოველთაო სამხედრო სწავლების მებრძოლთა სასწავლო შეჯიბრებას, რომელიც მიძღვნილია წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი. შეჯიბრება 1 მარტამდე გასტანს და იქნება იმის შემოწმება, თუ რამდენად წარმატებით შეითვისეს სწავლების პირველი რიგის მებრძოლებმა განვლილი პროგრამა და რამდენად მტკიცედ დაეუფლნენ შეძენილ ცოდნას.

შეჯიბრება ტარდება ფიზიკურ, საცეცხლე, ქიმიურ და სასანგრო მომზადებაში.

ფიზიკურ მომზადებაში შეჯიბრების პროგრამა შეიცავს ხუთკილომეტრიან მარშს გზით, გადარბენას, გადაცოცებას, გრანატების ტყორცნასა და ხელჩართულ ბრძოლას.

იმისათვის, რომ პირველი სახის შეჯიბრებაში მიიღო შეფასება „ფრიადი", 40 წუთში უნდა მოახდინო ხუთკილომეტრიანი მარში.

გადარბენით უნდა გადალახო 120-მეტრიანი ზოლი დასერილ ადგილას (უგზოდ). ფრიადოსნულად ითვლება შედეგი, თუ მებრძოლი უცბად და სწრაფად წამოხტება, სწრაფად გაირბენს 15–20 მეტრს 3–5 წამში, ადგილმდებარეობას სწორად შეგუებული, გაწვება და განზე გაცოცდება; დაიკავებს მდგომარეობას „წოლელა სროლისათვის" და მეთვალყურეობას გაუწევს ბრძოლის ველს.

შეჯიბრების შემდეგი სახეა გადაცოცება. „წოლელა სროლისათვის" მდგომარეობიდან მებრძოლი პლასტუნურად 25 მეტრზე უნდა გაცოცდეს. გარდა ამისა, შეჯიბრების პროგრამაში შედის რბენა 30 მეტრზე და გრანატების ტყორცნა. 30 მეტრის გარბენის შემდეგ მებრძოლმა ადგილიდან ან გამორბენით 3 გრანატი უნდა სტყორცნოს სანგარს 25 მეტრ მანძილზე.

ხელჩართულ ბრძოლაში შეჯიბრების პროგრამა ითვალისწინებს 25 მეტრის გარბენას და გზადაგზა სამი მიზნის განგმირვას.

საცეცხლე მომზადების შეჯიბრებაში შედის მცირეყალიბიანი შაშხანის სროლა 25 მეტრზე (სამიზნე № 9-ა, მკერდული, 10-ჯერ შემცირებული) და შაშხანის არასრული დაშლა და აწყობა.

ქიმიურ მომზადებაში შეჯიბრება ტარდება აირწინაღიანად 5 კილომეტრზე დასერილ ადგილას; ამ შეჯიბრების მეორე სახეა მოწამლული უბნის გადალახვა.

სასანგრო მომზადებაში შეჯიბრების მონაწილეებმა პატარა სასანგრო ბარით მინიმალურ ვადაში უნდა ამოთხარონ და ხელთქონებული მასალებით შენიღბონ ცალკეული უჯრედი წოლელა სროლისათვის.

შეჯიბრება ტარდება სამხედრო-სასწავლო პუნქტებისა და სასწავლებელთა ყველა ქვეგანაყოფში რაიონული სამხედრო კომისრების ხელმძღვანელობით, ამასთან იგი ტარდება ქვეგანაყოფთა მიერ ოცეულის (ათეულის) შემადგენლობით.

მებრძოლი, რომელმაც შეჯიბრებაში „დამაკმაყოფილებელზე" არანაკლები შეფასება მიიღო, თავისუფლდება სათანადო სახის ჩათვლისაგან. (საკდესი).

სამხედრო თამაშის—„რეიდი მტრის ზურგში" პირობების მოკლე გადმოცემა

ბავშვებო!

ალბათ, ყველა თქვენგანს ახსოვს სამხედრო თამაში „იეროშობანი", რომელიც უდიდესი ინტერესითა და აღფრთოვანებით ჩაატარეთ შარშან ზამთარს. 31 იანვარს „პიონერსკაია პრავდაში" დაბეჭდილია პიონერებისა და მოწაფეების ახალი სამხედრო-ტაქტიკური თამაში „რეიდი მტრის ზურგში". ეს თამაში მიძღვნილია წითელი არმიის XXIV წლისთავისადმი, რომელიც ამჟამად გმირულად ებრძვის საზიზღარ გერმანელ დამპყრობლებს და სწმენდს მათგან ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მიწა-წყალს.

ახალ თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასების ყველა პიონერსა და მოწაფეს. თამაშის მონაწილეთაგან იქმნება ასეულები 60–100 კაცის შემადგენლობით. თითოეული ასეული დამოუკიდებლად აწყობს თამაშს. ასეულში 2–3 ოცეული (პიონერთა რაზმი) შედის. ოცეული შესდგება 3–4 ათეულისაგან (პიონერთა რგოლი).

თითოეულ ქვეგანაყოფს სათავეში უდგას თამაშის სასკოლო შტაბის მიერ დანიშნული მეთაური. მეთაურებს განმასხვავებელი ნიშნები ექნებათ. ათეულის მეთაურს აქვს მწვანე კილოები და ერთი წითელი სიგრძივი ზოლი, ოცეულის მეთაურს—მწვანე კილოები და ორი წითელი სიგრძივი ზოლი, ასეულის მეთაურს—მწვანე კილოები და სამი წითელი სიგრძივი ზოლი.

თამაშის ხელმძღვანელობისათვის სკოლაში იქმნება შტაბი. შტაბში შედიან: სკოლის სამხედრო ხელმძღვანელი, უფროსი პიონერხელმძღვანელი, კომკავშირის კომიტეტისა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის წარმომადგენლები და პიონერთა რაზმის შტაბის უფროსი.

ასეულის მოწინააღმდეგე მხარე არის მუამავალთა ჯგუფი, რომელიც შედგენილია უფროსი კლასების მოწაფეებისა და თავდაცვა-ავიაქიმის აქტივისტებისაგან. ჯგუფი 25–40 კაცისაგან შესდგება. მას სათავეში უდგას თავდაცვა-ავიაქიმის ინსტრუქტორი. თამაში 3–4 საათს გრძელდება.

თითოეული ასეულისათვის გამოიყოფა „საომარი მოქმედების" განსაზღვრული უბანი, რომელიც ცნობილი უნდა იყოს თამაშის ყველა მონაწილისათვის. „საომარი მოქმედების" რაიონის სიდიდე ასეთია: ფრონტით — 1½–2 კილომეტრი, სიღრმით—2–3 კილომეტრი. თამაშის დაწყებამდე უნდა გადავიღოთ „საომარი მოქმედების" რაიონის რუკა და დავურიგოთ ყველა მეთაურს.

ახალი თამაშის დროს შეუმჩნევლად უნდა შევიპაროთ „მტრის" ზურგში, შევკრიბოთ ცნობები „მოწინააღმდეგის" და მისი შეიარაღების შესახებ, შეუმჩნევლად უნდა „დანაღმოთ" მტრის ზურგში გზა ანდა გავაკეთოთ ხელოვნური ლობურები, შევიპაროთ „მტრის" შტაბში და მოვსპოთ იგი. ეს საბრძოლო ამოცანის შესრულება ადვილი საქმე როდია. თქვენ პირობითად მოგიხდებათ შეხვდეთ ყველა იმ საშიშროებას, რაც ნამდვილ ბრძოლაშია. თქვენ გაივლით „მტრის" მიერ დაკავებულ ტერიტორიას. გზაზე დაგიდარაჯებენ ოსტატურად შენიღბული „გუგულები". „მოწინააღმდეგე" ეცდება „დანაღმოს" გზები, რომლებზედაც თქვენ უნდა იაროთ. თქვენ ეხერხებულად უნდა შემოუაროთ „დანაღმულ" უბნებს. ადვილი როდი იქნება „მოწინააღმდეგის" შენიღბული ტანკების, ზარბაზნების, სატყვიამფრქვევო ბუდეებისა და შტაბის აღმოჩენა.

თამაშის დროს მრავალ მოულოდნელობას წააწყდებით. თქვენ აქ დაგჭირდებათ გამჭრიახობა, სამხედრო ოსტატობა, გულმოდგინედ შენიღბვის ცოდნა, მოხერხებული დაზვერვის მოწყობა.

თამაშში რომ გაიმარჯვოთ, ამისათვის, ჯეროვნად უნდა მოემზადოთ. ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე უნდა ისწავლოთ მწყობრში სიარული, ადგილმდებარეობაში გარკვევა, თხილამურით სიარული, შენიღბვა, თოვლში სანგრის კეთება, გრანატის ტყორცნა.

თამაშის დაწყებამდე უნდა დაიმზადოთ იარაღი და საჭურველი. თამაშის ყველა მონაწილე შინნაკეთი ხის შაშხანითა და გრანატით იარაღდება. თითოეულ ათეულს იარაღად აქვს შინნაკეთი ავტომატი ან ხელის ტყვიამფრქვევი (ჭრიალა), თითოეულ ოცეულს—დაზგიანი ტყვიამფრქვევი (ჭრიალა). ასეული ამზადებს ნაღმების 5 მაკეტს და „მოწინააღმდეგის" ზურგში დაბრკოლებათა გასაკეთებელ ინსტრუმენტს. თამაშის მონაწილეთა სულ ცოტა ერთ მესამედს თხილამურები უნდა ჰქონდეს. თამაშის თითოეული მონაწილე იმზადებს შესანიღბავ ხალათს, მესანგრის ნიჩაბს, ნივთის ჩანთას, მათარას ან ტოლჩას.

პიონერთა რაზმი, რომელიც რაიონში ყველაზე უკეთესად მოაწყობს სამხედრო თამაშს, დაჯილდოებული იქნება კომკავშირის რაიკომისა და თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭოს სიგელით.

სამხედრო თამაშს ხელმძღვანელობას გაუწევს თამაშის მთავარი შტაბი. შტაბში შედიან: ავიაციის გენერალ-მაიორი კობელევი, ბატალიონის უფროსი კომისარი გლებოვი, მაიორი ოსტროვი.

ბავშვებო! ყველა თქვენგანს უყვარს წითელი არმია და ოცნებობს გახდეს მისი მებრძოლი და მეთაური. მაგრამ წითელ არმიაში საპატიო სამსახურისათვის თქვენ პატარაობიდანვე უნდა ემზადებოდეთ სკოლაში, პიონერთა რაზმში. ახალი სამხედრო თამაში დაგეხმარებათ ამ საქმეში.

მოისმინეთ თამაშის მთავარი შტაბის უფროსის № 1 ბრძანება.

სამხედრო ტაქტიკური თამაშის „რეიდი მტრის ზურგში" მოსაწყობად ვბრძანებ:

პიონერთა რაზმების ყველა შტაბი დაუყოვნებლივ შეუდგეს ქვეგანაყოფთა შედგენას და დანიშნოს მეთაურთა შემადგენლობა.

ქვეგანაყოფთა შედგენა დამთავრდეს 3 დღის ვადაში ამ ბრძანების მიღების შემდეგ.

დაუყოვნებლივ შეუდექით ქვეგანაყოფთა მომზადებას. თამაშის მოწყობის დღის, 18 თებერვლისათვის, თამაშის ყველა მონაწილესთან ერთად ჩატარდეს სალაშქრო მარში 3 კილომეტრზე, ამასთან მიღებულ იქნას დაცვის ღონისძიებანი; შეისწავლეთ დაზვერვის ძირითადი წესები, შეისწავლეთ შენიღბვა ზამთრის პირობებში; შეისწავლეთ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტრანსპორტის მამოსვლის ხელოვნურ დაბრკოლებათა აგება; მოაწყეთ თვითშემოსანგრება თოვლში.

მოეწყოს საუბრები პარტიზანთა რაზმების გმირობისა და წითელი არმიის რაზმების მიერ მტრის ზურგში ჩატარებული რეიდების შესახებ.

თამაშის მთავარი შტაბის უფროსი ბატალიონის უფროსი კომისარი **გლებოვი**

ლონდონში შემდგარი მასობრივი მიტინგის რეზოლუცია

ლონდონი, 3 თებერვალი (საკდესი). ამას წინათ ლონდონში მასობრივი მიტინგი შესდგა, რომელზედაც სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. შვერნიკმა. მიტინგმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მიტინგი მიესალმება თანამშრომლობას, რომელიც ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კომიტეტმა დაამყარა სსრ კავშირისა და ინგლისის პროფკავშირებს შორის. იმ კეთილი სურვილების პასუხად, რომლებიც სსრ კავშირიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა გამოსთქვეს ინგლისელი მუშებისადმი, მიტინგი უდიდეს აღტაცებას გამოსთქვამს საბჭოთა არმიებისა და საბჭოთა ხალხის გმირობისა და თავდადებების გამო, რაც მათ დაუნდობელ გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოიჩინეს და რამაც შედეგად მოიტანა არა მარტო გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებთან, არამედ აგრეთვე გერმანიის არმიის უკანდახევა მთელს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

მიტინგი იწონებს ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა კომიტეტის მიერ მიღწეულ შეთანხმებას და საჭიროდ აღიარებს, რომ მიღწეულ და შენარჩუნებულ იქნას ყველა სახის საომარი მასალისა და განსაკუთრებით ტანკების, თვითმფრინავების, ქვემეხების, გემებისა და ქვანახშირის მაქსიმალური გამოშვება. მიტინგი მიესალმება იმ ღონისძიებათა სოლიდარობასა და ერთიანობას, რომლებიც მიმართულია ამ ამოცანის განხორციელებისაკენ და რომლებიც გამოავლინეს შეერთებული შტატების, საბჭოთა რუსეთისა და ბრიტანეთის იმპერიის წარმომადგენლებმა ვაშინგტონსა და მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების დროს. ეს ერთიანობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება იმის საწინდარია, რომ ამ ქვეყნების თანამშრომლობა გაგრძელდება ომისშემდგომი დროის ამოცანების გადაწყვეტაშიც, მშოფლიოს ეკონომიური ცხოვრების აღდგენაში, სოციალური სამართლიანობისა და გაჭირვებისა და შიშისაგან თავისუფლების საფუძვლების შექმნაშიც. ვალდებულებას ვკისრულობთ დავაჩქაროთ და გავადიდოთ საომარი მასალის გამოშვება ისე, რომ უზრუნველვყოთ თავისუფლების ძალთათვის სწრაფი გამარჯვება ტირანიისა და ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში".

თურქეთის პრემიერ-მინისტრ საიდამის გამოსვლა რადიოთი

სტამბოლი, 4 თებერვალი (საკდესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრმა საიდამმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, რომ „მსოფლიო კრიზისის დაწყებიდან თურქეთის საგარეო პოლიტიკა ემყარება ამ კრიზისის პირველ დღეებში დადგენილ ძირითად პრინციპებს და ოდნავაც არ შეცვლილა". საიდამმა აღნიშნა, რომ 1939 წლის სექტემბერს დაწყებული ომი აფრიკასა, აზიასა და ამერიკასაც მოედო. იგი ნამდვილ მსოფლიო ხანძრად გადაიქცა. ომით გამოწვეულ უბედურებას მარტო ის ქვეყნები როდი განიცდიან, რომლებიც მასში მონაწილეობენ. ომი სხვა ქვეყნებსაც აყენებს ტანჯვასა და გაჭირვებას. უნდა გვახსოვდეს,—სთქვა საიდამმა,—რომ ხანძარი კარზე მოგვდგომია. ჩვენი სამშობლო ცეცხლის რკალშია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ეს ყველას უნდა გვახსოვდეს, რათა მდგომარეობის მთელი სერიოზულობის გაგება შევძლოთ და ფხიზლად ვიყოთ".

სერიოზული და საშიში შეცდომა იქნებოდა,—განაცხადა შემდეგ საიდამმა,—გვეფიქრა, რომ, რადგან ომს თურქეთის საზღვარი არ გადმოულახავს, თურქეთის მოქალაქეებს შეუძლიათ ნორმალური ცხოვრება განაგრძონ. „მსოფლიო ომში,—სთქვა მან,—რომელიც ამჟამად მიმდინარეობს და რომელიც არავინ იცის, თუ როდის, რით და სად დამთავრდება, ჩვენი მთავარი და უცილობელი პრინციპია ეროვნული თავდაცვა ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. ერთი მხრივ, საკითხი ეხება ერის დაცვას ყოველგვარი საფრთხისაგან, რომელიც შესაძლოა გარედან მოვგადგეს და დაემუქროს ჩვენს კერებს, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დამოუკიდებლობას. მეორე მხრივ, საკითხი ეხება იმას, რომ საჭირო მომენტში ისეთი ღონისძიებანი მივიღოთ, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ თავიდან ავიცილოთ უბედურება, რასაც მსოფლიო კრიზისი გამოიწვევს". საიდამმა აღნიშნა, საჭიროა ერის მთელი რესურსების მობილიზაცია და „ყოველგვარი ტანჯვისა და თავდადებისათვის მზადყოფნაო".

დასასრულ, საიდამი შეეხო იმ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილ იქნა „ეროვნული დაცვის კანონში". ამ ცვლილებებმა,—განაცხადა საიდამმა,—უნდა უზრუნველჰყოს სწორი და სამართლიანი განაწილება ყოველივე იმისა, რაც გარედან შემოდის და რაც ჩვენს ქვეყანაში მზადდება, და არ უნდა დავუშვათ, რომ ცალკეულ პირებს შეეძლოთ მოსახლეობის ზარალით გამდიდრება.

თურქეთის გაზეთი ბულგარეთის პრესის საომარი მონოდების შესახებ

ანკარა, 4 თებერვალი (საკდესი). თურქეთის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს ბულგარეთის თანამედროვე პოლიტიკას და ბულგარეთის პრესის აგრესიულ კამპანიას.

გაზეთმა „ანადოლუმ" მოათავსა ორხან რახმის სტატია, რომელშიც იგი სწერს: ამ უკანასკნელ დღეებში ბულგარეთის ზოგიერთმა მოღვაწემ ბუნდოვანი, გაურკვეველი გამოთქმებით დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ საჭიროა ბულგარეთი ომში ჩაებას. ამ მისწრაფებათა განსახორციელებლად ბულგარეთის სახელმწიფო მოღვაწეები მოსახლეობას მოუწოდებენ მსხვერპლი გაიღონ.

შემდეგ ავტორი საკითხს აყენებს, რომელი ქვეყნის წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებენ ბულგარეთის გაზეთები, და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამჟამად ბულგარეთის საომარი მზადება თურქეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

სამხედრო სესხის წარმატებითი გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საკდესი). ფინანსთა მინისტრმა მორგენტაუმ გამოაცხადა, რომ იანვარში გაიყიდა ერთ მილიარდ დოლარზე მეტი სახელმწიფო სამხედრო სესხის ობლიგაციები, ესე იგი დეკემბერში გაყიდულზე ერთიორად მეტი. შარშანდელი მაისიდან მოკიდებული სამხედრო სესხი გავრცელებულია 3.600 მილიონი დოლარის რაოდენობით. ამ სესხის ობლიგაციები 7 მილიონმა ამერიკელმა შეიძინა. მორგენტაუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სესხის ობლიგაციების გაყიდვა უნდა გაძლიერდეს, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სამხედრო პროგრამა დიდ ფინანსიურ სახსრებს მოითხოვს.

ამერიკა სესხს აძლევს ჩინეთს

ვაშინგტონი, 3 თებერვალი (საკდესი). რუზველტმა თხოვნით მიმართა კონგრესს — მოიწონოს ჩინეთისათვის ამერიკის მიერ 500 მილიონი დოლარი სესხის მიცემა.

გადადგა ეგვიპტის მთავრობა

ლონდონი, 4 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ეგვიპტის მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის სირი-ფაშის მეთაურობით გადადგა.

ლონდონის გაზეთების დიპლომატიურ მიმომხილველთა აზრით, ეგვიპტის სირი-ფაშის კაბინეტის გადადგომა მეფე ფარუქსა და მის მინისტრებს შორის არსებული უთანხმოებით არის გამოწვეული. ეგვიპტის მთავრობამ 6 იანვარს გაწყვიტა ურთიერთობა ვიშის მთავრობასთან, რითაც ხაზგასმით აღნიშნა თავისი მეგობრობა ინგლისთან. მაგრამ კარის წრეების მიერ წაქეზებულმა ახალგაზრდა მეფემ ამის პასუხად პრემიერ-მინისტრ ჰუსეინ სირი-ფაშას საგარეო საქმეთა მინისტრის გადაყენება მოსთხოვა. მაშინ სირი-ფაშა და მთელი მთავრობა გადადგნენ. ეგვიპტის მთავრობის კრიზისი ლონდონში აშკარად არ მოსწონს, ვინაიდან იმას, რაც სირი-ფაშამ ინგლის-ეგვიპტის ურთიერთობისათვის გააკეთა, აქ მეტად მაღალ შეფასებას აძლევდნენ.

ფარუქმა სენატის თავმჯდომარეს მუჰამედ მაჰმუდ ჰალილბეის წინადადება მისცა შეადგინოს ახალი კაბინეტი.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ფილიპინებზე 2 თებერვლის ღამის განმავლობაში იაპონიის ჯარები ორჯერ ამაოდ შეეცადნენ გადამსხდარიყვნენ ბატაანის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე (ლუსონის კუნძული), მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. იაპონელთა ვერც ერთმა სადესანტო ჯგუფმა ნაპირს ვერ მიაღწია.

ამერიკის ტორპედიანმა კატერმა მანილის ყურის რაიონში ღამით მოქმედების დროს ტორპედო ესროლა იაპონიის სამხედრო ხომალდს.

იაპონიის წყალქვეშა ნავმა ტორპედო ესროლა და ჩაძირა ამერიკის ჰიდროავიატრანსპორტი. კომანდის შემადგენლობიდან 152 კაცი გადარჩა. თუ რა მოუვიდა 56 კაცს, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ არის.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 4 თებერვალი (საკდესი). ინგლისის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ იაპონიის ავიაცია რამდენჯერმე დაესხა თავს სინგაპურის კუნძულს და ერთგვარი ნგრევა გამოიწვია.

დღეს მტერმა ორჯერ მოიტანა იერიში ბირმის ცენტრალურ ნაწილში არსებულ აეროდრომებზე.

ინგლისის ავიაცია დღის განმავლობაში ხშირად ფრენას ეწეოდა მტრის ტერიტორიაზე, წარმატებით მიჰქონდა იერიში მის პოზიციებზე, რითაც ხელს უწყობდა სახმელეთო ჯარების მოქმედებას.

ავსტრალიის ავიაციამ 3 თებერვალს, ღამით, რებაულის ნავსადგურში (კუნძული ახალი ბრიტანეთი) დაბომბა იაპონიის გემები. ბომბი პირდაპირ მოხვდა იაპონიის ერთ გემს.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ლონდონი, 4 თებერვალი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ 3 თებერვალს იაპონიის ავიაციამ იავის კუნძულზე დაბომბა მთელი რიგი პუნქტები და აეროდრომები. იერიში უმთავრესად სურაბაიის, მალანგისა და მადიოენის წინააღმდეგ იყო მიმართული. სურაბაიაში იაპონელებმა 8 ავიაგამანადგურებელი და 2 ბომბდამშენი დაჰკარგეს. ჰოლანდიის ინდოეთის ავიაციის დანაკლისი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ საბოლოო ცნობები ჯერ კიდევ არ არის მიღებული.

ბალიკ-პაპანის რაიონში (ბორნეოს კუნძულის აღმოსავლეთი სანაპირო) ბრძოლა გრძელდება.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 4 თებერვალი (საკდესი). ოფიციალური ცნობებით, იაპონიის ჯარებმა, რომლებიც ბორნეოს კუნძულის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოქმედებენ, 24 იანვარს დაიკავეს ქალაქი ტავაო (60 მილზე ტარაკანის კუნძულის ჩრდილოეთით).

იაპონია-ჩინეთის ომი

სამხრეთ ჩინეთში, კანტონის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში ბრძოლაა ვეიჯოუბოლოს უბანზე. ჩინეთის ჯარები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ იაპონიის ჯარის ნაწილებს, რომლებიც ცდილობენ შეტევაზე გადმოვიდნენ ფრონტის ამ უბანზე.

ადგილობრივი ხასიათის ცალკეული ბრძოლები სწარმოებს მთელ რიგ რაიონებში კანტონ-ხანკოუს რკინიგზის გასწვრივ, ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში.

4 თებერვალი (საკდესი).

საფრანგეთში ფართოდ ავრცელებენ არალეგალურ ლიტერატურას

ჟენევა, 3 თებერვალი (საკდესი). „ნაციონალ ცაიტუნგი", რომელიც ბაზელში გამოდის, იუწყება, რომ საფრანგეთის ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ზონაში ფართოდ არის გავრცელებული არალეგალური პერიოდული პრესა. კერძოდ, ისეთ გაზეთებს, როგორიც არის „ლუმანიტე", „რეზისტანსი" („წინააღმდეგობა"), „ლიბერასიონ ნასიონალი" („ეროვნული განთავისუფლება"), „ვი უვრიერი" („მუშათა ცხოვრება") და სხვები, 10 ათასამდე ცალად სცემენ. ბევრი არალეგალური გაზეთი ტექნიკურად სულაც არ ჩამოუვარდება ლეგალურ გაზეთებს იმ სიძნელეების მიუხედავად, რასაც იწვევს დიდძალი ქაღალდის ფარულად შეძენა და გაზეთების დაბეჭდვა არალეგალურ სტამბებში. მოსახლეობა დიდი ინტერესითა და ნდობით ეპყრობა არალეგალურ პატრიოტულ გამოცემებს. ამ გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები დიდ გავლენას ახდენს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე.

„ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" პარტია კანონს გარეშეა გამოცხადებული

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი (საკდესი). ეირეს იუსტიციის მინისტრმა ბოლენდმა კანონს გარეშე გამოაცხადა „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" პარტია. ბოლენდმა განაცხადა, რომ გერმანელი ჯაშუშები, რომლებიც პარაშუტებით დაეშვნენ ეირეში და შემდეგ დაპატიმრებულ იქნენ, ამ პარტიასთან მჭიდრო კონტაქტით ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ ეირეში. კერძოდ, გერმანელ ჯაშუშ ჰერცს, რომელიც პარაშუტით დაეშვა ეირეს ტერიტორიაზე 1940 წლის ივნისში, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა „ირლანდიის რესპუბლიკურ არმიასთან" 9 თვის განმავლობაში, სანამ არ დააპატიმრეს. ეირეს პრემიერ-მინისტრმა დე ვალერამ განცხადება გააკეთა ეირეს პარლამენტში, რომ „ირლანდიის რესპუბლიკური არმია" მზად იყო დახმარება აღმოეჩინა გერმანიისათვის ინგლისის წინააღმდეგ ომში.

საერთაშორისო თემებზე

„კარგად ის იცინის..."

იაპონიის ჯარების პირველმა წარმატებებმა თავბრუ დაახვია მრავალ ადამიანებს ზოგიერთი იაპონური გაზეთის რედაქციებში. ეს გაზეთები, თავისი გერმანელი კოლეგების მიბაძვით, აზარტით და ყოყოჩობით შეუდგნენ მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფას. ყოველნაირ ყაიდაზე ხატავენ „საყოველთაო აყვავების დიად აღმოსავლეთ-აზიის სფეროს", სწერენ ათობით სტატიებს „აღმოსავლეთ-აზიის დიადი ეკონომიური ზონის შესახებ", ამასთან ზოგიერთი მოცლილი ჟურნალისტი, რომელსაც სუსტი ჭკუა, დიდი მადა და უსაზღვრო ფანტაზია მოეპოვება, იწყებს წრეების ხაზვას ამა თუ იმ ცენტრის გარშემო და ამტკიცებს, რომ, მაგალითად, აღმოსავლეთ-აზიის დიდი ეკონომიური სფერო შეიძლება განისაზღვროს წრის სახით, რომლის რადიუსი 4.000 კილომეტრი იქნება, ხოლო ცენტრი—კუნძული ფორმოზა. გაზეთ „ჯაპან ტაიმს ენდ ადვერტაიზერს", რომელიც ტოკიოში გამოდის, სტატიაში „დიადი აღმოსავლეთ აზიის მარში" ამ სფეროში შეაქვს, გარდა ავსტრალიისა, აღმოსავლეთი ციმბირიც. რა თქმა უნდა, თუ ერთ ჟურნალისტს მიაჩნია, რომ წრის ცენტრი იქნება ფორმოზა, ხოლო ეკონომიური ზონის ანუ საყოველთაო აყვავების აღმოსავლეთ-აზიის სფერო ყოველი მხრით გადაიჭიმება 4.000 კილომეტრისა და მეტი მანძილის რადიუსით, მეორე ჟურნალისტს ასეთივე წარმატებით შეუძლია წრის ცენტრად დასახოს კუნძული ჰოკაიდო, ხოლო რადიუსი თავისი შეხედულებისამებრ გაადიდოს.

ჩვენ ვიცით, რომ იმ ლიტერატურულ ყოველდღიურ მოქირავეთა შორის, რომლებიც მომსახურებას უწევენ ზოგიერთ იაპონურ გაზეთს, ცოტა როდი მოიპოვება ისეთი ადამიანი, ვინც თავისი ხელოვნი ნიჭის მიხედვით ასრულებს ამა თუ იმ ტრესტისაგან ან სამხედრო-ფაშისტური ხროვისაგან მიცემულ დაკვეთას. ცნობილია, რომ მადა ჭამაში მოდის, და ამიტომ იმპერიალისტური წადილი იაპონიაში ახლა კატასტროფულად იზრდება წყნარ ოკეანეზე მიღწეულ პირველ წარმატებებთან დაკავშირებით. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ იაპონიაში არსებობს სასტიკი სამხედრო ცენზურა, და როცა იბეჭდება ყველა ეს გიჟური გამოთქმები აღმოსავლეთ ციმბირის შესახებ, არ შეიძლება მან ეს არ იცოდეს.

ჩვენ არ გვსურს პოლემიკა გავუმართოთ იაპონელ ჟურნალისტებს, რომლებიც გართული არიან იმ ტერიტორიების ნაადრევი მოწყობითა და ათვისებით, რაც იაპონიას არ ეკუთვნის. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია მოვაგონოთ, რომ ამგვარსავე გიჟურ გამოთქმებს ადგილი ჰქონდა გერმანულ პრესაში და რომ გერმანელი ჟურნალისტები, გერმანიის პროპაგანდის სამინისტრო და გერმანიის უმაღლესი სარდლობა ჰიტლერისა და გებელსის მიერ ხისპირირებულნი, არაერთხელ „სპობდნენ" წითელ არმიას, აცხადებდნენ „ახალი წესრიგის" საბოლოო გამარჯვებას" ევროპა-აფრიკის სივრცეზე, მაგრამ ჰიტლერის გერმანია, როგორც ახლა ყველამ იცის, გაცილებით უფრო ახლოა დამარცხებასთან, ვიდრე გამარჯვებასთან. გერმანული პროპაგანდის ცრუპენტელური ბაქიობა ახლა ჰიტლერისა და მისი წრის წინააღმდეგ შეტრიალდა, ვინაიდან ჰიტლერის მთავრობის ყველა წინასწარმეტყველება საბჭოთა კავშირის მალე განადგურების, სსრ კავშირის ურალამდე დაპყრობის შესახებ და სხვ.—ბაქიბუქი აღმოჩნდა.

თუ იაპონელ ჟურნალისტებს სურთ ასეთივე ცრუპენტელური ტრაბახი და ბაქიბუქი წყნარ ოკეანეზე წარმოებული ომის გამო, თუ მათ მაინც და მაინც სურთ მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფა და, ბრძნული იაპონური ანდაზისა არ იყოს, ხეზე თევზის ჭერა, ეს, რა თქმა უნდა, მათი კერძო საქმეა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავაფრთხილოთ ისინი ასეთი უსარგებლო და მავნე საქმიანობისაგან.

გერმანელებმა, როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ძალისა და ძლიერების აღიარებას მიაღწიეს მეტად მწარე გამოცდილების შემდეგ. მაშ დაე ისწავლონ იაპონურმა გაზეთებმა სხვისი გამოცდილების მიხედვით და დაე ნუ ფიქრობენ, რომ წარმატებით დაწყება აუცილებლად ნიშნავს წარმატებით დამთავრებასაც, თორემ იძულებული გახდებიან თავისი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ იმაში, რომ სწორია ფრანგული თქმულება: „კარგად ის იცინის, ვინც ბოლოს იცინის".

მიმომხილველი

(„პრავდა", 28/I).

ახალი დოკუმენტები გერმანელთა ოკუპაციის შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველოს ფონდებში აღმოჩნდა საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ეკუთვნის 1918 წელს, როდესაც გერმანიის ჯარებმა მოახდინეს ამიერკავკასიის ოკუპაცია.

განსაკუთრებით საინტერესოა გერმანიის სარდლობის რწმუნებულის გრაფ შულენბურგის (გერმანიის მოსკოველი ელჩი 1941 წელს) მიმოწერა მენშევიკ მინისტრებთან — რამიშვილთან, ჩხენკელთან, გიორგაძესთან და სხვ., აგრეთვე სამაზრო ხელისუფალთა წერილობითი მოხსენებანი გერმანიის ჯარების მიერ ჩადენილი ძალადობისა, ძარცვისა, მკვლელობისა და დაპატიმრებათა შესახებ.

ამჟამად საარქივო სამმართველოს უფროსი მ. მ. გაბრიჭიძე და ისტორიკოსი პროფესორი შ. კ. ჩხეტია დასაბეჭდად ამზადებენ ამ დოკუმენტთა დაწვრილებითს აღწერას.

ახალი მასალა უაღრესად მკაფიოდ გვიხატავს მენშევიკ მინისტრთა ლაქიობას, რომელნიც უსინდისოდ ჰყიდდნენ თავიანთ სამშობლოს. მენშევიკური მთავრობის თხოვნით, გერმანიის ჯარები სასტიკად ახშობდნენ ქართველ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას, რომელნიც რუსეთის სფს რესპუბლიკასთან კავშირისაკენ ისწრაფვოდნენ. ბევრი მასალა, რომელიც ოკუპანტთა მხეცობას შეეხება, ძალიან მოგვაგონებს გერმანიის არმიის სისასტიკეს ჩვენს დროში. (საქდესი).

კინოფილმები „ვოროშილოვის ლაშქრობა" და „ცარიცინის დაცვა"

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

კინორეჟისორებმა ძმებმა ვასილიევებმა, კინოფილმ „ჩაპაევის" ავტორებმა, დაამთავრეს მუშაობა ახალ დიდ მხატვრულ ისტორიულ-რევოლუციურ ფილმებზე — „ვოროშილოვის ლაშქრობა" და „ცარიცინის დაცვა". ორივე ფილმის გადაღება დაიწყო გასული წლის ადრე გაზაფხულზე და პარალელურად მიმდინარეობდა. ნატურული გადაღება სწარმოებდა ისტორიულ ადგილებში — სტალინგრადში, დონის ველებში. ორივე სურათში მთავარ როლებს ასრულებენ: სტალინისას — გელოვანი, ვოროშილოვისას — ბოგოლიუბოვი.

ვ. ყარა-მურზა

ფრონტელი დისერტანტი

ლენინგრადის იურიდიულ ინსტიტუტში საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ფრონტიდან ჩამოსულმა ინსტიტუტის ასპირანტმა ა. მ. კალანდაძემ. დისერტაციის თემაა საბატონო გლეხთა იურიდიული მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნეში.

სპეციალისტებმა შესრულებულ სამუშაოს მაღალი შეფასება მისცეს. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ა. მ. კალანდაძეს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მიანიჭა.

(„კომსომოლსკაია პრავდა")

ს. ჩიქოვანის ლექსების კრებული

გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა ორდენოსანი პოეტის ს. ჩიქოვანის ლექსების კრებული (რედაქტორი ი. აბაშიძე) „მამულს ვუთხრათ გამარჯვება", რომელშიც თავმოყრილია პოეტის მიერ სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსები.

კრებულში დაბეჭდილია შემდეგი ლექსები: „ამხანაგ სტალინს ბელადს და სარდალს", „ბელადის სურათზე", „ექვსი თვე არის", „გმირულად დაღუპულ მფრინავ გასტელოს", „მიძღვნა ოქტომბრის ტოლებისადმი", „ბელადის სიტყვა", „ამხანაგ სტალინის სიტყვა წითელ მოედანზე", „პირტახია", „მიშაკოვი და შალამბერიძე", „კრემლის ვარსკვლავი", „მოსკოველ მეგობრებისადმი", „მამულისათვის", „სიმღერა მხედარ ინაურზე", „ალუმისათვის მზადება ბერიას მოედანზე", „პატარა ხალხი", „ამანათი", „ამანათზე მინაწერი", „მეომრის სიკვდილი", „ბრძოლის ველზე", „მხედრული", „მამულს ვუთხრათ გამარჯვება".

კრებული შეიცავს 50 გვერდს და ღირს 3 მან. და 75 კაპ.

თეატრებში

საოპერო—6 თებერვალს — „მეფის საცოლე", 7 თებერვალს—„ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის** — 6 თებერვალს „კიკვიძე", 7 თებერვალს — „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ", **მარჯანიშვილის სახელობის** — 6 თებერვალს — „ურიელ აკოსტა", 7 თებერვალს — „ცხვრის წყარო", **სანკულტურის** — 7 თებერვალს—„აჯილდა".

„კომუნისტის" მუშსოფკორთა კაბინეტში

(ლენინის ქ. № 28)

6 თებერვალს, დღის 1 საათზე, თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის ძირეული პრესის მუშაკთათვის (მეორე ცვლა) ჩატარდება კონსულტაცია თემაზე: „ძირეული პრესის ამოცანები სამამულო ომის ვითარებაში". კონსულტანტი ამხ. ელ. ჩიტიშვილი.

* * *

„კომუნისტის" მუშსოფლკორთა კაბინეტში (ლენინის ქ. № 28, მე-4 სართული, ოთახი № 17) ყოველდღე დილის 9 საათიდან 5½ საათამდე და საღ. 9 საათიდან 12 საათამდე იმართება კონსულტაცია ძირეული პრესის მუშაკთათვის.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) გეგეჭკორის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1525503, გაცემული სალომე ჩაგუსასულ ბაჩილავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. და დამკვრელი—„მწყემსი და მეღორე", ოქტომბერი — „გამანადგურებლები", კომკავშირელი — „დიდი ვალსი", სპარტაკი—„პოეტი და მეფე", ლუქსემბურგის სახ. და კომინტერნი — „საბრძოლო კინოკრებული № 7", მეცნიერება და ცოდნა — „მეზღვაურები", 26 კომ. სახ.—„ჩემი სიყვარული".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ვ. ხატიაშვილი**

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს,

რომ ა. წ. 26 თებერვალს და 28 თებერვალს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 33) 277-ე აუდიტორიაში ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

26 თებერვალს: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ასისტენტი **ნ. ი. ჩხენკელი** თემაზე: „საქართველოს მაგარი ხორბალი (Tr. durum Desf თავთუხი), როგორც საწყისი მასალა სელექციისათვის".

ოფიციალური ოპონენტები: ბიოლოგ. მეცნ. კანდიდატი დოცენტი ვ. მენაბდე და სოფლის მეურნეობის მეცნ. კანდიდატი დოცენტი გ. ი. აბხაძე.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ჩაის მრეწვ. და სუბტროპ. კულტურათა საკავ. სამეცნ. კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი **ა. ნ. ნიჟარაძე** თემაზე: „Роль фосфора в обмене веществ чайного листа".

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი ვ. ზ. ღვალაძე, ბიოლ. მეცნ. კანდიდატი—ჯაფარიძე.

28 თებერვალს—სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **ნ. ე. ალექსიძე** თემაზე: „Филоксера в Грузии".

ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი ფ. ა. ზაიცევი, პროფ. ს. გ. ჩოლოყაშვილი, პროფესორი-დოქტორი ლ. პ. კალანდაძე

მსურველთ შეუძლიათ დისერტაციების გაცნობა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ინსტიტუტის დირექტორი დოც. **ნ. გელაშვილი**

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმი აცხადებს, რომ ა. წ. 1 თებერვლიდან სწარმოებს მიღება პირველ კურსზე.

ტექნიკუმში ყველა მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით და საჭიროების შემთხვევაში საერთო საცხოვრებლით.

სწავლა დაიწყება ა. წ. 15 თებერვალს. განცხადებების მიღება გრძელდება. სტალინის სახელობის სანაპირო ქ. № 1.

19 **დირექცია.**

საქენერგოს კავშირგაბმულობის ცენტრალურ სამსახურს ესაჭიროება:

1. ავტოდრეზინის შოფერები,
2. კავშირგაბმულობის ტექნიკოსები და მონტიორები.

პირობების გაგება: თბილისი, კამოს ქ. № 28, ტელ. 3-81-00.

საქენერგოს კ/ვ ცენტრალური სამსახურის დირექტორი ინჟინერი—**ასათიანი.**

8 2—1

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. უე 187